

## ყანანა არჩვაქე-გამსახურდია

### ნაჩსული-ანაყოს განსაჩეხად და მოჩაველის განსაჩქრისად

საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში აღინიშნება მოჩვენებითი დაპირისპირება ე. წ. პარლამენტის „უმრავლესობასა“ და „უმცირესობას“ შორის. სატელევიზიო გამოსვლებში ურთიერთს „ამხელენ“ კანონიერი ხელისუფლების წინაშე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში, ხოლო ე. წ. პარლამენტის სხდომაზე „უმრავლესობის“ მიერ შემოტანილ საქართველოს რესპუბლიკის დამლუპველ კანონებს ერთობლივად ღებულობენ. ეს საცდური გათვლილია აშშ-ს, დასავლეთის, რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობის დასაბნევადად. მიგვყვით ქრონოლოგიურად ორი „დაპირისპირებული“ მხარის პოლიტიკურ სვლებს, რათა ნათელი მოვფინოთ მათ სექტაკლებს.

პირველ რიგში, თვალი გადავაგვლოთ კანონმდებლობას: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი 8 მუხლი 79. „ავტონომიური რესპუბლიკა სახელმწიფოა, რომელიც არის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში.“

მუხლი 80. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უზრუნველყოფენ კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავიანთ ტერიტორიებზე, ხელს უწყობენ ამ ტერიტორიებზე საქართველოს რესპუბლიკის უფლებამოსილების აღსრულებას, ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

მუხლი 82. საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და ერთნაირი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის კანონს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

თავი 10. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემა და მათი საქმიანობის პრინციპები.

მუხლი 85. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, თემის, დაბისა და სოფლის საკრებულოები შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემას.

თავი 13. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 112. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგელობაში შედიან თანამდებობის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილე—აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები.

თავი 14. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი შედგება მუხლი 123. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი შედგება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას წვევტა არ ჰქონია, იგი ვრცელდება მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ 1991 წლის 15 სექტემბერს მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის (რუსეთის) შეიარაღებული ძალებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭებისა და მათი საქართველოდან, პირველ რიგში, აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან (სამხაბლოდან) გაყვანის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმის წევრი ასლან აბაშიძე არ დაემორჩილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებას, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის უგულვებელყოფით აღმოსავლეთი ვეროპიდან (გერმანიიდან) გამოთავისუფლებული რუსეთის ჯარები კრემლის დავალებით განაღდა აჭარის ტერიტორიაზე.

როდესაც დადგა საკითხი რუსეთის მესაზღვრეების საქართველოდან ეტაპობრივად გაყვანის შესახებ, ასლან აბაშიძის ყოფილმა პრესმდივანმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა: აუცილებელია განიხილოთ საკითხი, თუ რამდენად შზად არის სახელმწიფო საკუთარი ძალებით დაიკვას საზღვრის ისეთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, როგორც თურქეთთან მოსაზღვრე აჭარაა.

თუ გაეცხენებთ წლების განმავლობაში ასლან აბაშიძის „დიდ სამხედრო შესაძლებლობებს“, რომელმაც გადაწყვიტა „აჭარის ბედი“ „შედროინის“, კიტოვან-სიგუას კრიმინალური ბანდების აჭარაში „შეჭრისაგან“ დაცვის მხრივ, ნათლად იკვეთება რუსული ძალების დამახსურება, ამიტომ უჭირს უმცირესი ტერიტორიის დაცვა საკუთარი ძალებით, აი რატომ არ გატარდა სესიის დადგენილება აჭარის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის საოკუპაციო სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძისა და ა. აბაშიძის აღიანი გამოიკვეთა 1991-92 წწ. სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალების დროს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანთან ერთად დასავლეთ საქართველოდან კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერ მოსახლეობას ბლოკირება გაუკეთა დემონსტრაციის გავრცელებით.

ასლან აბაშიძეს მუდმივი კავშირები ჰქონდა ე. შევარდნაძესთან, რაც ნათლად ჩანს 1992 წლის IIV გაზეთ „მამში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში:

როგორ აფასებთ ბატონ ე. შევარდნაძის სამშობლოში დაბრუნებას?

—ბატონი ედუარდი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. იმის შიშით, თითქოს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მას არ მიიღებდა, უსაფუძვლო გამოდგა პირიქით, უმეტესობა მასში ხედავს ერთადერთ მსწვლს, როდესაც შეუძლია საქართველოს გამოყვანა ამ კატასტროფული მდგომარეობიდან. პირადად მე მინანია, რომ ბატონ ედუარდს, თუ ყველა გვერდით დაუდგები, შეუძლია ამ უზარმაზარი შიშის შესრულება“.

21 ივლისი  
გამოცხადება  
ყოველდღიური  
ღვთისმშობლის  
ყვანის ხატიმსა  
(1579 წ.)



გიხმობ შენ,  
უქორწინებელი და  
ყოველდღიური  
ქალწული, ითხოვე  
მისგან, რომელი შეე,  
რათა მოსცეს  
კეთილმორწმუნეს  
ერსა ჩვენსა ძლევა  
და დახსნა  
უღლისაგან  
მტერთასა, რომელი  
შენ დაუცხრომელად  
ვადიდებთ.

### სუნილ ფუტკანაქა:

#### ურც ღღეს ჭირს მტერ-მოყვრის ბარჩევა

საქართველოს დაშლის მოსურნეთ შევახსენებთ: ყოველთა ქართველთა ერთობა მრავალი საუკუნის მანძილზე ისეთი ქვიტიკირითაა შეკრული, რომელსაც შინაგამცემლობა აახლებს (ხალხს აფხიზლებს!), მომხედურთა იერიშები კი აწრთობს!

33. 2

### გიორგი სუხანიძე:

#### აღიარება

ბოროტმოქმედი ხედება, რომ შესაძლოა ერთ დღეს მაინც მოუხდეს პასუხისგება და ამიტომ აგროვებს მასალას, რათა იმ ავბედით პუტჩთან კავშირი საბატიოდ ჩაეთვალოს: აკეთებს განცხადებებს, რომ მხარს არ უჭერდა პუტჩს, არ ჭერია ხელში იარაღი, იმ დროს არ იყო თბილისში...

33. 2-4

### სუხანიძე:

#### სუყყუნის აქალაღოჲ ჭიღუ სსოონ მუტყოფაღის სუჲნაჲი

წიწაჲურისა და მარტყოფის ტრაგედიის საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ ჩვენში დათესილმა ერთმანეთის ჯგუფურმა გადაკიდებულ-კინკლაობამ შეამზადა (რა საოცრად ჰგავს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა მაშინდელს!).

33. 4

### საქართველოს

### რესპუბლიკის

### უზენაესი საბჭოს

### დაუბატის,

### სსოობიღი

### მომღარღის

### მუიჲ თომაჲის

### გახსენება 33. 7



საპარტიო დღეებში უხერხემლო ფაქტობრივი ხელისუფლება ეხმარება რა საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მოსურნე იმპერიებს, პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების რღვევას; სამაგალითოდ შევეხებით აჭარასა და სამეგრელოში განვითარებულ მოვლენებს:

1991 წლის დამოუკიდებლობის აქტით, საქართველოში ავტონომია შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ არაქართველებს, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ავტოქტონები არიან... კონკრეტულად, საერთო სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით, კანონიერად ჩაითვალა მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

შეგარდნადის დე ფაქტო ხელისუფლებამ თითქმის გამონაკლისი აფხაზურ-თურქული საბაზების „მოშველებით“ თავის ნახევარკონსტიტუციამ არა მხოლოდ დააფიქსირა ქართველთა ავტონომია აჭარაში (რითაც დაარღვია დამოუკიდებლობის აქტის ძირითადი პრინციპები), არამედ, კანონიერი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დანაშაულებრივად წაუყრდა ავტონომიის მმართველობისაგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იგნორირებას, კერძოდ, „შეგუ“ ა:


1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების უზენაესობას საქართველოს კონსტიტუციასთან;
2. დედაქალაქის გვერდის ავლით აჭარაში ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნას;
3. საქართველოს კონსტიტუციის სანინაღმდეგოდ, აჭარის პრეზიდენტის პოსტის შემოღებას...

ყოველივე ამის შესახებ ე. შეგარდნადის კომენტარი სწორედ რომ დარდუბალასებრი იყო: „არა, კაცო, კი არ ვენინაღმდეგები, მარა ცოტა ეკითხათ მაინც ჩემთვის რამე...“

საქართველოს მტრები პროვოკაციებს ისტორიულ ეგრის-ოდიშშიც გეგმავენ, კერძოდ, ცდილობენ მეგრულ-ჭანებს უარი ათქმევინონ ისტორიულ სალიტერატურო ენაზე და დღემდე საშინაო გამოყენების მეგრული და ლაზური მეტყველების ბაზაზე ახალ-ახალი დამწერლობის შექმნით სურთ „უთხური“ „სახელმწიფო“

ენები შექმნან... ცივილიზებულ მსოფლიოში დღეს პოპულარულია ეროვნულობის განსაზღვრა თვითმიკუთვნებულობის მიხედვით; ძირძველი ქართველები—მეგრელები (=ეგრისელები) ოდითგანვე თავს

# არც დღეს ჰქონს გზერ-მეგრის ბარჩევა ანუ პრივილეგიების აღიარების პოზიციის დივიდენდის შესახებ



მოიაზრებდნენ „ყოველთა ქართველთა“ ცნებაში; ასეა დღესაც, და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ასე იყო საქართველოს უკიდურესი დაქუცმაცებულობის დროსაც... სანიმუშოდ ქვემოთ მოვიყვანთ „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ პრე-

ამბულის ძირითად ნაწილს, სადაც ხაზგასმულია, რომ ტრაქტატზე მომწერ პირთ აქვთ ერთი ენა, სისხლით ერთობა და ერთმორწმუნეობა.

მკითხველს შევხსენებთ, რომ „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“ შექმნილია 1790 წელს და მას ხელს აწერენ:

- მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა—ერეკლე II;
- დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა—დარეჯანი;
- მეფე ყოვლისა საიმერეთოსა—სოლომონ II;
- დედოფალი ყოვლისა საიმერეთოსა—მარიამ;
- საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი—ანტონ II;
- მთავარი ოდიშისა და სხვათა—დიანი გრიგოლი;
- მთავარი გურიისა—გურიელი სვიმონ;
- ვიცე-კანცლერი—ლიონიძე სოლომონ.

ივერიელთა ერთობის ტრაქტატი ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერეთა, ოდიშისა და გურიისა. აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს 1770 წელსა.

ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მასალობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილინი და ერთისა ენისა მკონებელინი, აქვსთ გავასხელობითაცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის.

ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარი დამამტკიცებელი საუკუნოსა ამას პირობისა სახელით ყოველად ძლიერისა დვითისათა მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიც თვითეულად შემდგომთა შინა შაზრთა ცხად იქნების.

საქართველოს დაშლის მოსურნეთ შევხსენებთ: ყოველთა ქართველთა ერთობა მრავალი საუკუნის მანძილზე ისეთი ქვეითობითა შეკრული, რომელსაც შინაგამცემლობა აახლებს (ხალხს აფხიზლებს!), მომხდურთა იერიშები კი აწრთობს!

ტარიელ ფუტხატარაძე

## მრუდე სარკე და სინაფილი

### მსრუდე სარკე

დოდონა კიზირია (სკვირის პალიტრა): ამერიკის შვერტულ შტატებს საქართველოს მიმართ მტაცებლური პოლიტიკა აქვს. შევარდნაძემ ბევრი შეცდომა დაუშვა...

### სინაფილი

ამერიკისა და სხვა ქვეყნების შთაქრული პოლიტიკა საქართველოს მიმართ წმ წლის წინ ამხილა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და სწორედ ამის გამოც დაუშვია მხარი ამერიკის მანძილზე მთავრობამ პრორუსულ პუტჩისტებს 1991 წლის მიწურულს.

რაც შეეხება შევარდნაძეს: მას შეცდომები არ დაუშვია! ელვარდ შევარდნაძე მიზანმიმართულად ასრულებდა და ასრულებს საქართველოს ხელში ჩაგდებას მოსურნე იმპერიათა შეკვეთებს (დროდადრო უპარატესობას ანიჭებს მას, ვინც მეტს უხდის).

### მსრუდე სარკე

გიბ ნოლია (რადიოსადგური „თავისუფლება“): საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლის ევალზე დიდ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ ქართველმა ერმა შეეგნო თავისი არასრულყოფილება, უნარობა და სხვებზე ნაკლებობა...

### სინაფილი

ერის ცნებაში მოიაზრება არა მხოლოდ აწყობის თაობა, არამედ, წარსული და მომავალი თაობებიც. ჩვენ ათასწლეულების მანძილზე ვცხოვრობთ და, თუნდაც, ამიტომ ვართ ღირსეული ერი. არასრულყოფილება ნოღასწარი ხალხს აქვს, ხალხს, ვინც ამერიკელთა ნასუფრალით იკვებება, მეტიც, მათგანაც უკანონოდ თვისებს გრანტებს...

ჩვენი თაობის უუნარობა კი მართლაც სახეზე! ამჟამინდელი სიძაბუნე იმ პუტჩის გამო გვეჭირს, რომელიც ისევ და ისევ ნოღასწარმა ინტელექტულებმა, კრიმინალებმა და რუსებმა მოაწყვეს საქართველოს დასაჩოქებლად— ეს უნარობა დროებითია!

საქართველო არც არავისზე ნაკლები არ არის და არც მეტს ბაბილონის ვაღლიდან ყველა ერთ თანაბარი ღვთაური უკვლებით წაშლილია...

## პატვალური თემა

და კერძო და პოლიტიკური პარტიების მოთხოვნა, მიეცეს პოლიტიკური შეფასება 1991 წლის 22 დეკემბერ-1992 წლის 6 იანვრის მოვლენებს. ამ საკითხის დასმა საუბრით ბუნებრივია, რადგან ხელისუფლების ოპოზიციის შეიარაღებული შეტაკებების შედეგად დაემხო ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება. საინტერესოა, რა შედეგს ელიან ამ მოთხოვნის ავტორები... შეიძლება დღეს მე-20 საუკუნის ბოლოს იპოვო ადამიანი, რომელიც გამართლებს ძალის გამოყენებით კანონიერი ხელისუფლების დამხობას? ყველა იტყვის, რომ იარაღის გამოყენებით კანონიერი ხელისუფლების დამხობა არის დანაშაული და უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება ცალკეულ პირთა მოქმედებას, დადგეს დანაშაულთა პასუხისმგებლობის საკითხი.

მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა, შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს, რამ განაპირობა ოპოზიციისა და ხელისუფლებას შორის შეიარაღებული დაპირისპირებები, ვისი მიზეზით დაიწყო შეიარაღებული შეტაკება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. არიან პირები და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მხარს უჭერდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, ამდენად, მონაწილეობდნენ მასში პირადად და თავისი შეიარაღებული ფორმირებით. დღეს კი მოითხოვენ მის შესწავლას და გმობენ მას. საჭიროა მათი დღის სინათლეზე გამოყვანა და საქმიანობის შეფასება. ზოგიერთი მოლაპყე პოლიტიკოსი ამჟამად გმობს რა 22 დეკემბერ-6 იანვრის მოვლენებს, იმ დროს თითქმის ყოველდღე თ. სიგუასთან იყო კაბიეტში და მისგან მოითხოვდა გამსახურდიასათვის შუბლში ტყვიის დახლას.

...მე არ ვამტკიცებ, რომ ქვეყანაში ყველა საკითხი ცეცხლითა და მახვილით უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება,

# აღიარება

დღეს საქართველოში თითქმის არ მოიძებნება მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც არ ესმის, საშხედრო გზით სახელმწიფო გადატრიალების, საყოველთაო არჩევნების საფუძველზე ლეგიტიმირებული ხელისუფლების დამხობის დანაშაულებრიობა. ამ დანაშაულს ნებისმიერა ქვეყნის საკანონმდებლო აქტებსა და იურიდიულ დოკუმენტებში უმკაცრესად სასჯელი განესაზღვრება. ლაპარაკია არა ღვთის სასჯელსა და ისტორიის განაჩენზე, არამედ სრულიად მაწიერ მოვლენაზე—კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლისაკენ მოწოდებასა და ბრძოლაზე.

როს თანამედროვეობამ, ბოლოს და ბოლოს მანამდე მაინც, ვიდრე სასამართლო ჩაბარებს ამ მონაცემებს და შეაფასებს. ამ ცოტა ხნის წინ თბილისში გამოჩნდა წიგნი „სიმათილე ზვიად გამსახურდიას შესახებ“ (თბილისი, 1999 წ.). წიგნი თუქცა პრეზიდენტ გამსახურდიასე მართალია ერთი სიტყვაც არ არის, მაგრამ მასში საკმაოდ ობიექტურად არიან წარმონიღნი მისი ჯალათები. ეს კრებული ჩვენს თვალწინ გადაშლის კახიხერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური საფუძველ-

**ბოროტმოქმედი ხედება, რომ შესაძლოა ერთ დღეს მაინც მოუხდეს პასუხისგება და ამიტომ აგროვებს მასალას, რათა იმ ავბედით პუტჩთან კავშირი საპატიოდ ჩაეთვალოს: აკეთებს განცხადებებს, რომ მხარს არ უჭერდა პუტჩს, არ ჭერია ხელში იარაღი, იმ დროს არ იყო თბილისში...**  
**რომ ზვიად გამსახურდიასთან სკოლაში სწავლობდა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას „გაზრდილია“, რომ დარდობს ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული ბედის გამო, რომ... და აი, ამ ფარისევლური განცხადებების გვერდით პირდაპირ არნახულ სიზამტევედ წარმოიჩინდება რამდენიმე გულადის აღიარებანი, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში იყო და დღესაც სწორად მიაჩნია თავისი წარსული ქმედებები.**

ბის მომზადებისა და პუტჩის განხორციელების საშინელ დანაშაულს. დანაშაულები აქ ნებაყოფლობით იძლევიან ჩვენებსა თავის დანაშაულებრივ ქმედებებსა და მიწოდებებთან დაკავშირებით. წიგნის შემდგენელი თ. ჭანტურიშვილი შეიძლება ამ დანაშაულის ერთ-ერთ ანალიტიკოსადაც მივიჩნიოთ. ჩვენთვის არ არის ცნობილი, რამდენად შეთანხმა ამ წიგნის შემდგენელმა დანაშაულებრივ ავტორებთან მათ მიერ წარსულის განსაკუთრებულ მომენტებში გამოქვეყნებული წე-

სახურდიას გამტყუნება წარმოადგენს და რაც უფრო ნათლდება გამსახურდიას სახელი, მით უფრო გამწარებით ესხმის თავს მას. ამჯერად კანონიერი ხელისუფლების საშხედრო გზით დამხობის მონაწილეობა აღიარებები და ურთიერთბრალდებები უფრო გვაინტერესებს.

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი პუტჩისტის ზოგიერთ გამოხატულებას მოვიხიზობთ ხსენებული წიგნიდან:  
**იხტანგ რაზმადე:** „იმ ბოლო დროს გახშირ-





# ადიარება

2

რომ ცეცხლი ხელისუფლებამ თავად გამოიწვია თავისთავზე (გაზ. „ახალი საქართველო“, ინტერვიუები საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორ ვახტანგ რაზმაძესთან, 1998, 19 მარტი—1 ივლისი).

**ნინო მირიანაშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი:

„ინფორმაციული ბრალდების მიხედვით (ამარაგებდა პუტჩისტებს, გადავიდა მტრის მხარეზე, მონაწილეობდა პუტჩში) ნამდვილად დამნაშავე ვარ, რისთვისაც დახვრეტაც კი მცირე სასჯელად მოეწვევება თქვენებურად მოაზროვნე კაცს. არა, ბატონო, მე თ. კიტოვანის რკონში დაბანაკების შემდეგ კი არ ვამარაგებდი პუტჩისტებს, არამედ გვარდია მე ჩამოვიყვანე რკონის ხეობაში. და აი, როგორ მოხდა ეს... გვარდიის ევაკუაცია დაწყებული იყო. ისინი მუცოს ხეობაში იხიზნებოდნენ. მე და თ. ღვალისვილი დავუსაბუთეთ ბატონ თენგიზ კიტოვანს, რომ გაცილებით მოსახერხებელი და უსაფრთხო იყო გვარდიის ბუნებრივად საუკეთესოდ დაცულ რკონის ხეობაში გახიზნა... ნორმალურ სახელმწიფოში კანონიერი ხელისუფლების დალატა იგივე სამშობლოს დასაცავად, ხოლო ეს ისეთი ბრალდებაა, რომელიც ყველაზე თავშეკავებულ ადამიანსაც კი გამოიყვანს წონასწორობიდან (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 ოქტომბერი, 1992).

**ნორდარ ლომიძე**

„9 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტზე წინასწარ დაგეგმილი შეიარაღ-

ბული თავდასხმა მოხდა და იგი, მასთან ერთად კი საქართველოც, სასწაულებრივად გადარჩნენ. მე შემძრა ამ საშინელმა აქციამ! შემძრა როგორც პიროვნება, ბატონ ედუარდისადმი ჩემი პირადი ადამიანური დამოკიდებულების გამო. ამასთან შემძრა, როგორც მოქალაქე, როგორც ქართველი და მინდა გავემორო II ინერის ჩემი წერილის პირველი აბზაცის ბოლო წინადადება: „ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის ცხადია, რა დღეში ჩავვარდებით, ქვეყანას რომ ედუარდ შევარდნაძე არ ელვას სათავეში. ეს აქსიომა!“

ვიმეორებ, იმხანად თითქოს ავმა წინათგონობამ ამიტაცა და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ქვეყანას რაღაც საშიშროება ელოდება და ეს საშიშროება ორი ძალისაგან მომდინარეობს—სტალინისტ-კომუნისტებისა და ნაპრეზიდენტალის მიმდევართაგან... გამსახურდიას რეჟიმი სწორედ დამანგრეველი ბიძგი იყო ეკონომიკისთვისაც, სოციალური ურთიერთობებისთვისაც და, რაც მთავარია, ზნეობრიობისთვისაც. ასე რომ, ერთ წელიწადში მან ის „მოსწრო“, რის აღდგენას და გამოსწორებას წლები სჭირდება. აი, რატომ არ შეიძლება მისთვის „გვეცლია“—ეს საბოლოოდ დადგინდა საქართველოს. ეს გაიგეს, სწორად გაიზრეს პროგრესულმა ძალებმა და კიდევ დროზე უშველეს ქვეყანას, ჩამოაგდეს გამსახურდია. და ამ ჩამოგდების პროცესში იძულებული ჩემი გავხდით, არამესაფერ, ზნეობრივად ასევე

საეჭვო ძალებს დავყვდნობოდით, ესეც გამსახურდიას მიერ შექმნილი სიტუაციის შედეგი იყო: იმ დროს, სამწუხაროდ, სხვა რეალური ძალები არ არსებობდა; ხოლო გამსახურდიას დამხობა აუცილებელი და საშური საქმე იყო... რა, ისინიც (ზვიადისტიები) უნდა დაეინდოთ და ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე, დიას, სწორედ დამნაშავე, მანანა



არჩვადე-გამსახურდია „ქალბატონობით“ მოიხსენიებით და პრესკონფერენციებისთვის დარბაზებითაც უზრუნველყოფთ? ესენი „კუდიანები“ არ არიან, რეალური ანტიხალხური ძალებია და მათზე ნადირობა, მათი მოქმედების აღკვეთა აუცილებელია“ (ნორდარ ლომიძე, სიმსივნე, რომელიც უნდა ამოიკვეთოს, გა-

ზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 თებერვალი, 1998 წ.).

თ. ჭანტურიშვილის მიერ შედგენილი უცნაური წიგნის ძირითადი სულისკვეთება ისიცაა, რომ დამტკიცდეს ზვიად გამსახურდიას, კონსტანტინე გამსახურდიასა და მათი პატივისცემულების ესა თუ ის ნაკლი (მაგალითად, სიმკაცრე, კატეგორიულობა, პოლიტიკატიმართა გარკვეული ჯგუფის დამოკიდებულება მათ მიმართ, ზვიად გამსახურდიასა და მისი მამის ოჯახური ურთიერთობები, კერძო მიმოწერა, მათი დამოკიდებულება გამომცემლებთან, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მეგობრობის დადასტურება—უარყოფა, პრეზიდენტის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ნაღვანის შესახებ პირადი აზრი) და ეს სუბიექტური და სრულიად არაოლიტიკური მსჯელობა შეაზავონ პუტჩისტურ პირ-პარტიათა მიერ ინტერპრეტირებულ პოლიტიკური სიტუაციის ანალიზთან, რომ იქნებ გულუბრყვლო მკითხველმა დაასკვნას, რაკი ვინმე თემიურაზ ჭანტურიშვილს (რომელიც თავისი ლიტერატურული, მეცნიერული ან პოლიტიკური ნაღვანით უეჭველად საენციკლოპედიო მოღვაწეა და მის სიტყვასა და გემოვნებას შეუმოწმებლად უნდა ვენდობო) და მის მსგავსთ არ მოსწონს ოთარ ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, პაატა ჩხეიძე, ოლეგ გოლიაძე და სხვანი, ამიტომ კანონიერ-

რი ხელისუფლებისა და კანონიერი პრეზიდენტის იარაღის ძალით დამხობა გამართლებული იყო.

ხალხს კარგა ხანია დაეკარგა იმედი, რომ დღევანდელი საქართველოს უბედურებაში დამნაშავე „მოღვაწენი“ საკუთარ დანაშაულს გაიცნობიერებენ და მონანიებენ. კაცმა რომ თქვას, დღეს ხალხს არც ანტიერესებს მათი აზრი ზვიად გამსახურდიასზე, რადგან „მათი აზრები მათვე ჰგვანან“ და ამ უვარგისთაგან პრეზიდენტ გამსახურდიას ქება უფრო აღმაშფოთებელი იქნება, ვიდრე ძაგება. ხალხს არც პუტჩის მათეული შეფასება ანტიერესებს მინც და მაინც, ის კი არაა, ხალხი მათ წიგნებსაც არ ყიდულობს და მათ ნამღერ-ნათამაშებსაც აღარ უმზერს... მოსახლეობისათვის თანამედროვე ელიტა („ბნელიტა“) სატელევიზიო კლოუნის როლს ასრულებს, რომელიც მაყურებლის „გასართობად“ ათასგვარ ტრიუკებს იგონებს და სულ ყირამალა ტრიუკებს, ოღონდ კი ფულის მოხვეჭაში არაფერ შეუძალოს ხელი... დღეს მმართველ კლასს არ შეუძლია გამოიყვანოს თუნდაც ერთი ავტორიტეტი, რომელსაც ერი სერიოზულად მოეკიდება და ყურს დაუგდებს...

ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს იმ ყბადღებულ სიტუაციას, „როდესაც მმართველ ძალას აღარ შეუძლია მართვა, ხოლო ჩაგრულს აღარ სურს მზავრულის მორჩილება...“ მსოფლიო ისტორიამ კარგად იცის, როგორია ამგვარი სიტუაციების ფინალი... ხალხმაც იცის ეს, ქვეცნობიერად გრძნობს და ელოდება...

ბ. ავთანიძე

## ჩვენი ყოფა

### ჩვენი ყოფის მუხამროსა ანუ კვირი „ჯეოსელის“ იაფფასიანი „აფიორა“

მოზილში ტელეფონი უწიგნურ ფულიანთა „სამარაჟო“ ნივთობიდან მალე იქცა ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ელემენტად; ბევრი წესიერი კაცის მწირი შემოსავალი უკვე პურისა და ტელეფონის ხარჯებად ნაწილდება, ამიტომ უხარია ხოლმე ტარიფების გაიფხებაზე ლაპარაკი; არადა, ნამდვილ გაიფხებას კონკურენცია აპირობებს.

საქართველოში სატელეფონო ბიზნესი ხელში ჩაიგდო სამთავრობო კლანებთან დაკავშირებულმა ორმა ფირმამ „ჯეოსელმა“ და „მაგთიმ“; ისინი სარგებლობენ რა ანტისახელმწიფოებრივი და მაფიოზური მთავრობის მხარდაჭერით, გაიფხობანას თამამ-თაშაშით საბაზრო კონკურენცია კონკურენციობანად აქციეს და ამ გზით იმრავლებენ ისედაც უკონტროლო შემოსავლებს...

სანიშნოდ ბოლო ფაქტს განვიხილავთ: ზახვარწლიანი დაპირების შემდეგ, როგორც იქნა, „ჯეოსელმა“ შემოიღო ე.წ. „ლაილაი“ ბარათი, მაგრამ ისეთი პირობები მოაყოლა, სატელეფონო მომსახურების გაუმჯობესება ფიქტად აქცია: საბარათო სისტემაზე გადასვლის სანაცვლოდ აბონენტებს მოთხოვა ძველი ნომრების ჩაბარება... ახალი ნომრის აღება დამატებით ფულად გადასახადთან ერთად ნაცნობთა გაფრთხილების არასასიამოვნო პროცესთანაც არის დაკავშირებული; „ლაილაი“ ბარათის შესაძლებლობები შეზღუდულია, ვარდა ამისა, ბარათის მფლობელს არ შეუძლია დროის ხარჯის შემოწმება... ამ და სხვა მიზეზთა გამო ბევრი იძულებ-

ული გახდა, უარი ეთქვა ამ ე.წ. საბარათო-„შეღვათ“-გაძვირებაზე და ძველი ნომერი დაიტოვა, ზოგამაც, საერთოდ, უარი თქვა აბონენტობაზე...

„ჯეოსელის“ თურქი, პოლანდიელი და ქართველი პატრონების სასაქართველო აფერამ მე ქაქაიან მეფის მამამძალობა გამახსენა: როსტომს საკუთარი შვილი ზურაბი უკვდება; გმირმა წამლისთვის ქაქაიან მეფესთან გააფხავა კაცი (დიდხანს უერთგულა როსტომმა მეფეს).

უგულო მეფემ იფიქრა: ზურაბი რომ გადარჩეს, ორი გმირი ერთად ჩემთვის საშიში არ აღმოჩნდეს, და წამალი გიჟს გაატანა, თან დაბარა, როსტომს მიუტანე და როცა მიხვალ, იქვე დააქციე... გიჟმა წამალი დააქცია; ზურაბი მოკვდა, გაბრუნებულმა როსტომმა კი მეფეს თავი წააცალა...

ჩვენ თავის წაცლაზე არ წავალთ, ეს გზა ახალ ბოროტებას შობს! არც პასიური ლოდინი და, მით უმეტეს, უიმედობა არ არის გამოსავალი: მთავარია, ყველამ გამოხატოს პრიტესტი არსებული განუკითხობის გამო; მოსახლეობამ უნდა გააცნობიერდეს, რომ სახელმწიფო ხალხისა და არა ამა თუ იმ კლანის, ამიტომ არ უნდა შეეგუოს უკანონობას და სიცრუეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მალე მოვა დრო, როცა საქართველოშიც მოელება ბოლო ანტისახელმწიფოებრივ დე ფაქტო მთავრობისა და მათი დონორი კლანების უკიდევანო პარაზის...

ტარიელ ფშტატარაძე

### ქალქს კიდე ერთი თვითმუხკვიე შეეხუტა

მ. შუთაისში 1999 წლის მარტში ნიკვას ქუჩაზე ჩამოყალიბდა სახლმმართველობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამავე ქუჩის მცხოვრები ვალერი ბერეკაშვილი. იგი პირველად დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას: ტელეფონით, გაზეთებით მოუწოდებდა მოსახლეობას გაწვერიანებულიყო სახლმმართველობაში, ჰპირდებოდა უფასო მომსახურებას, პლუს ამას დასუფთავებისა და წყლის გადასახადისაგან გათავისუფლებას. გაიშალა მუშაობა: შეიქმნა სახლმმართველობების 22 ობიექტი, რომელშიც დიდი ხელფასების იმედით ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანდა და მუშაობა დაიწყო 600-მა უმუშევარმა ადამიანმა. ჩამოყალიბდა ორგანიზაცია კორპორაცია „რწმენა“ 41 კაცის შემადგენლობით. სახლმმართველობებში გაწვერიანდა 30 ათასი ოჯახი.

2000 წლის 5 დეკემბრიდან დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა, კერძოდ, პურის სერვისების გახსნა. პირველი ექსპერიმენტი ავტოქარხანაში დაიწყო. მარტო დეკემბრის თვეში გაიყიდა 26258 ათასი პური, აქედან მოგება კორპორაციას დარჩა 1575 ლარი და 48 თეთრი. ორგანიზაციის თანამშრომლებს პური ხალხისათვის ბინაზე მიჰქონდათ, თუმცა თვეების განმავლობაში მათ ხელფასი არ დარბებიათ. იყო მხოლოდ დაპირებები და ტყუილი, რომ მათი ხელფასები დროებით საჭირო იყო ახალი პროექტებისათვის. ამ გზით ნაშოენი ფულით ვ. ბერეკაშვილმა მის სახელზე შექმნა კორპორაციასთან არსებული საპროექტო განყოფილება.

თანამშრომლებმა, რომლებმაც ამხილეს იგი, უფროსის რისხვა დაიმსახურეს და სამსახურიდან გათავისუფლდნენ. ესენი იყვნენ მთავარი ბუღალტერი ბესარიონ სანიკიძე, მოლარე ომარ შაშიაშვილი, საზოგადოე-

ბასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, დოცენტი მამუკა წიქორიძე, ტექნიკური უფროსი იოსებ გიორგობანი, ადმინისტრატორი დავით ჩაკვეტაძე, №3 სახლმმართველობის თავმჯდომარე ვლადიმერ გამცემლიძე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ კორპორაციაში მომუშავე მისი ნდობით აღჭურვილ პირებს ხელფასი არასოდეს დაგვიანებიათ.

თითქოს ჩვენს ქვეყანაში არაფერი გასაკვირი არ უნდა იყოს, არადა ბერეკაშვილის უკან ხომ 600 მოტყუებული ადამიანი დგას. აღშფოთებულმა თანამშრომლებმა, კერძო საბინაო ფონდის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის კავშირში, უზნის კომიტეტებისა და ამხანაგური სახლმმართველობების საკოორდინაციო კავშირმა და კორპორაცია „რწმენა“ მარტის თვეში მოიწვია საერთო კრება, განიხილა ვ. ბერეკაშვილის მოქმედება და აირჩია კომისია საქმის გამოსაძიებლად. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა სხვადასხვა სახის ბუღალტრული დარღვევა. ვ. ბერეკაშვილმა არად ჩააგდო თანამშრომელთა უფლებები, დატოვა კორპორაცია და მისსავე შექმნილ საპროექტო განყოფილებაში გადავიდა, რომელიც მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე ქალაქის სამისამართო ბიუროში.

გამწარებულმა და დამცირებულმა თანამშრომლებმა მის წინააღმდეგ საჩივარი აღბრეს ქალაქის პროკურატურაში.

დაეველოდა მოვლენების განვითარებას, გაარკვეეს თუ არა სიმართლეს სასამართლო და ქალაქის მმართველობა დაუდგება თუ არა გვერდში 600 მოტყუებულ მოქალაქეს.

ცინიანი ჯონიძე  
12.07.2001 წელი

# ცნობილი ილარიონ ქართლისა

**მატერიალური ცხოვრების ინტერესებში ჩაფლული კაცობრიობა, რომელიც ხორციელი გონებით ხელმძღვანელობს, მუდამ წინააღმდეგობაში იქნება ღვთის სწავლებასთან, იმ აურაცხელ სასწაულთან, რისი აღქმაც ძლიერ გვიჭირს სულიერი თვალის არმქონეთ. როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „...თუალ ასხენ და არა ხედვენ, ყურ ასხენ და არა ესმის“.**

(113.13.14)

საოცარ მოღვაწეობას „მარხვითა და მღვიძარებითა ჰასასკამას სიჭაბუკისასა დააჭკნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უხორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრეა წარმატებოდა მოღვაწეობითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილსათა უდაბნოსა მას შინა, რამეთუ ყოველთავე უკვირდა ეგეოდნი შრომაი მისი და მოთმინებაი“.


ანგელოზებრ მმარხველი და დაუცხრომელად მლოცველი ბერის ამბავი მთელს ქართლსა და კახეთს გაუგია. მის სანახავად, ლოცვა-კურთხევისა და რჩევა-დარიგების მისაღებად უამრავი ხალხი მოდიოდა. მალე მან მღვდლობის პატივი მიიღო და გადაწყვიტა იერუსალიმის წმინდა ადგილების მოლოცვა. გზაში ღირს ილარიონს ავაზაკები დაესხნენ თავს, მახვილები იშიშვლეს მის მოსაკლავად. მოულოდნელად მათ ხელები გაუშეშდათ. წმიდა მამამ ჯვარი გადასახა ავაზაკებს, განკურნა და მშვიდობით განუტევა. მათ შენდობა ითხოვეს ღირსი მამისაგან, ერთი მათგანი კი თაბორის მთამდეც

სამშობლოში დაბრუნებულა, მამის მიერ დანატოვარი ქონებით აღუშენებია დედათა და მამათა მონასტრები, მოუქცევია ბოროტად განწყობილი ბიძა. მთელს საქართველოს მოსდებია ღირსი მამის სახელი, მრავალნი მოდიოდნენ მის სახილველად და რჩევა-დარიგების მისაღებად. მალე მისი ეპისკოპოსად კურთხევაც განუზრახავთ, მამა ილარიონს უფიქრია: „დიდებაი ესე ამის სოფლისა მომატყუებელ არს საუკუნოისა მის შურაცხებისა“ და კონსტანტინეპოლს გამგზავრებულა. ღირს მამას ხუთი წელი უღუმბოს მთაზე უცხოვრია. შემდეგ ისევ კონსტანტინეპოლში დაბრუნებულა, მოულოცია ყველა სინამდვილე და რომს გამგზავრებულა.

თოთხმეტი წლის მოგზაურობის შემდეგ რომს მიხლოებულმა ილარიონმა ვენახის ძირთან მჯდარი დავრდომილი ნახა და ერთი მტევანი ყურძენი სთხოვა. როცა დაინახა სრული უძღურება მისი, შეეწყალა, თავისი ლოცვის ძალით განკურნა. განკურნებული კაცი მყისვე წამომდგარა და თავისი ხელით მიურთმევია მტევანი ღირსი მამისათვის. წმიდა მამამ გზად კვლავ მრავალი სასწაული აღასრულა. ერთ-ერთი

ზე დაეწინა. ღირსმა მამამ ქალს წყლის მოტანასთხოვა. როცა ქალი წავიდა, წმიდა ილარიონმა ყრმას ჯვარი გადასახა. განკურნებული ყრმა დედასთან გაიქცა. წმიდა მამა კი გაშორდა იქაურობას, რომ არავის ეხილა. ქალაქის მთავარმა კი ბრძანება გასცა ჩაეკეტათ ქალაქის გასასვლელი კარები, რათა ეხილა და თაყვანი ეცა სასწაულმოქმედი ბერი-სათვის. მართლაც მოძებნეს იგი. ქალაქის თავმა თაყვანი სცა მას და სთხოვა თესალონიკეში დარჩენა. წმინდანმა მთავრის ღვთისმოყვარეობა რომ იხილა, თხოვნა შეუსრულა. მთელმა თესალონიკემ გაიგო ილარიონის მოღვაწეობის ამბავი. მისმა სათნო ცხოვრებამ ბევრს გაუღვიძა საღვთო შური და ღირსი მამის სახელით მონაზვნობა მიიღო. წმიდა მამა აქაც მრავალ სასწაულს აღასრულებდა. მან მთელი ცხოვრება თესალონიკეში გაატარა და აქვე აღესრულა. წმიდა ილარიონის სამარხთან სარწმუნოებით მოსულნი ყოველგვარი სენისაგან იკურნებოდნენ.

მოგვიანებით ბასილი კეისარს გადაუწყვეტია წმიდა ილარიონის ნაწილების გადამოსვენება სატახტო ქალაქში. თესალონიკელები კი არ დათანხმებულან წმინდანის ნაწილების მიცემაზე. კეისარის კარისკაცები იძულებულნი გამხდარან მალულად წაესვენებინათ წმიდა ნაწილები. კეისარს ის დროებით თავის პალატაში დაუსვენებია, სანამ გან-



გელათი GELATI

საკუთრებულ საძვალეს ააშენებდა მისთვის.

მესამე ღამეს მეფე კეთილსურნელებს გამოუღვიძებია. როცა მეფეს ჩასთვლიმა ისევ, მას სამღვდლო შესამოსელში ჩაცმული წმიდა ილარიონი გამოეცხა და და უთხრა: „კეთილ ჰყავ შეწყნარებაი ჩემი, ჰოი, მეფე უცხოისა ამის და გლახაკისაი, გარნა სულნელები ესე, რომელ იყნოსე, არა მომიგიეს მე იგი ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა. ან უკუეთუ გნებავს, რაითა სრულებით მადლი გაქუნდეს, წარმიყვანე მე უდაბნოსვე ადგილს“.

კეისარმა პატრიარქს და მთავრობას აუწყა ყოველივე. შემდგომ დიდი პატივით წაუბრძანებიათ წმიდა ილარიონის ნაწილები და მისი მონაფეხებისთვის ჩაუბარებიათ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდა ილარიონის ხსენების დღედ დაანწესა მისი გარდაცვალების თარიღი — 19 ნოემბერი (წმინდანთა ცხოვრება, ტომი IV, თბილისი, 1998, გვ. 233-241).

მამა ლაზარეს (კანდელაკი) ლოცვა-კურთხევით მასალა მოამზადა

ნანა გუბელაძე

**გზაში ღირს ილარიონს ავაზაკები დაესხნენ თავს, მახვილები იშიშვლეს მის მოსაკლავად. მოულოდნელად მათ ხელები გაუშეშდათ. წმიდა მამამ ჯვარი გადასახა ავაზაკებს, განკურნა და მშვიდობით განუტევა. მათ შენდობა ითხოვეს ღირსი მამისაგან, ერთი მათგანი კი თაბორის მთამდეც გააყვანა წმიდა ილარიონს.**

გააყვანა წმიდა ილარიონს. წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ ღირსი მამას უდაბნოში ერთი ადგილი, გამოქვაბული უზახავს და იქ დაყუდებულა. რამდენიმე ხნის შემდეგ ღვთისმშობლის ჩვენებით იგი

მოგზაურობის დროს წმიდა ილარიონს თესალონიკეში გამოუვლია, სადაც ქალაქის მთავრის კართან შეჩერებულა მოსასვენებლად. სახლიდან მხეცალს ოთხი წლის დამბლადაცემული ყრმა გამოეყვანა და მზის გულ-

## ღვთისმშობლის მიხედვით

რამდენიმე დღის წინ ბაღდათის წმიდა გიორგის ეკლესიაში წირვა აღესრულა. იგი სოხუმის ახლოს, კომანის მონასტერში დაბრუნებული მღვდელ-მონაზონის მამა ანდრია (ყურაშვილი) გარდაცვალების 8 წლისთავთან დაკავშირებით აღავლინა ბაღდათის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა მამა იოანემ (ყურაშვილმა) წირვას ესწრებოდა ცხუმ-აფხაზეთისა და მარგვეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მიტროპოლიტი მეუფე დანიელი (დათუაშვილი).

მეუფე დანიელი წირვის დასასრულს იქადაგა იმ ავაღსახუნებელი დღეებისა და მოვლენების შესახებ, რომელმაც საქართველოს გამოაყლო ძირძველი კუთხე აფხაზეთი. მეუფე დანიელმა, როგორც თვითმხილველმა, მოიხსენია წმიდა სული მამა ანდრია და ისაუბრა იმ დიდი სულიერების შესახებ, რომელიც უბოძა ღმერთმა მას. ის ერთადერთი მღვდელთაგანი იყო საქართველოს მღვდელმსახურთა შორის, რომელიც უშეშრად, უღრტუნველად ჩავიდა აფხაზეთის უწმინდეს მიწაზე და ომის დროს უშეშრად აღასრულებდა მღვდელმსახურებას, იმ მიწაზე, სადაც განისვენებდა წმიდა იოანე ოქროპირი და სადაც აწამეს წმიდა ვასილისყო. წმიდა ვასილისყო

წამების ადგილზე სასწაული მოხდა ღმერთმა აღმოაცენა წყალი, რომელშიც დღესაც ჩანს ვასილისკოს სისხლით შეღებილი ქვები. მეუფე დანიელმა მამა ანდრიასთან ერთად მოიხსენია კეთილმოარწმუნე იური ანუას სული, რომლის ოჯახი ტაძარს ყოველმხრივ შეეწყო. იური ანუამაც არ დატოვა აფხაზეთის მიწა. მამა ანდრიაც წმინდა ამბობდა: როგორც კი ჩვენ ამ ადგილს დაეტოვებთ, სოხუმი დაეცემაო. ღვთისმშობლის მიხედვით მოძღვარმა და მისმა მრევლმა ნებით არ დატოვეს ტაძარი, მაშინ გამიქინვარებულმა კაცობრივებმა გამოიყვანეს მოძღვარი და დახვრიტეს.

## სწავლა

მამა ანდრია ახლაც წმიდა მიწაში განისვენებს, იქ, სადაც განისვენებდა იოანე ოქროპირი და ზეცაში ღვთისმშობელ ქალწულს სთხოვს საქართველოს მეოხებას.

ჩვენო კეთილო, ბაღდათის მცველო შეილო ანდრია, მთელი საქართველო გრძნობს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც შენ გაიღე. წახვედი იქ, სადაც სუფევს სიმაართლე უძღვევლი და ნათელი მიუჩრდილებელი. იყავ მეოხი და მავდრებელი იმ გამოუცნობელი ძლიერების, რომელიც არის სათავე სინათლისა და უკვდავებისა.

ღმერთო, უმრავლეს საქართველოს და მოუვლნე ასეთი შეილები.

ზამფირა გუბელიძე

## მიხეილ არსენიშვილი

ორმოცი დღე გავიდა, რაც ქართველთა რიგებს კიდევ ერთი მამულიშვილი—მიხეილ ზაქაძის ძე არსენიშვილი გამოაკლდა.

ღმერთმა განუხვენოს მისი სული იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, სადაც იგი არა არსჭირი, არცა მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ ნეტარება, მხიარულება, ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

დაე, იგი ყოფილიყოს მლოცველი წინაშე ღვთისა ჩვენი ტანჯული ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ოთხი ურუბაძე

დრო

დრო მიაბიჯებს და მის ნაბიჯებს ითვლის საათის სამი ისარი. ჩაივლის, წავა, როგორც მსაჯული, როგორც მეურნალი, როგორც მისანი. არვისა ჰკითხავს: როგორ იარა, ვისთვის იარა, რისთვის იარა. ლხინი პქონია თუ დიდი იარა. ანარა დათესა და მოიყვანა: ნარი, ეკალი, ვარდი, ხვიარა, ჩაივლის, წავა, და მის ნაკვალევს, დაეფინება მტვერის საფარი. დაიფარება მისი გზა-კვალა.

ალარ დარჩება: არც ნამზერი, არც ნასეტყვარი, და არც ნაქარი. ჩვენმა დრომ კვალი დატოვა მწერალი. მთვრალმა არეულ ფეხით იარა, რაც დათესა და რაც მოიყვანა, მის ნაფერხურზე რამაც იხარა: ნარმა, ეკალმა, ვარდმა, ხვიარამ. ჩვენი საერეფი არის მთლიანად.

1997 წ.

პოეტი

თითქოს ვიღაცის ნასუფრალზე, ვწვიარ და ვიღვვი... ვაწვალე სტროფებს, რითმებსა ვციცქნი. პარანასის ძველ გზებს გადასწვდება, ანაზდად ფიქრით... გალაკტიონმა გადათელა ეს გზები, რითმით; ტატოს მერანმა გადათქერა, ფლოქეებით,

თითქმის; ჩემი მერანიც, თოხარეით, ძველი გზით მიდის... მაგრამ არ ვიცი: რად ვუკიფინებ? ან რისთვის ვიღვვი? თუკი ოდესმე მე მეწვევა მუხად ნმოხლი ზმანება იგი და თავის სათქმელს ჩემს ბაგეთაგან, ლამაზად იტყვის... პოეტიაო... ალბათ, ჩემზეც ვიღაცა იტყვის.

1977 წელი

ბრძელი ღამე

ვინ ვართ, რამდენი კომლი, კვამლის რამდენი სვეტი? ფუტეს ვიმაგრებთ ჩვენით, თუ ვიმართებით ღმერთით? დამეს ლოდინში ვადნობთ, კვლავაც განთიადს ველით. დამე ფათურობს ყველგან, დატოვავს ყველა სვრულში. ცაზედ არ მოჩანს მთვარე, ვაზშამს მიერთმეგვს მთებში. ასეთ ღამეში ალბათ,

კულტურა

მაია თომაძე — ნიჭიერი ხელოვანი

მაია თომაძე — ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ადამიანი. მაია თომაძე — უბირველესად ხელოვანი, ნიჭიერი მომღერალი. მაია თომაძე — გულანთებული პატრიოტი ქართველი ქალი... შვიდი წელი იგი ჩვენს შორის აღარაა. მისი ღამაში, სპეტაკი სიცოცხლე 1994 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს მილია ამქვეყნიური ცხოვრებიდან... ოპ, როგორ უნდა სიცოცხლე, როგორ უნდა ამ ავებით დროს მის სამშობლოს გვერდით დგომა და მისი ჭირისა და ლხინის გამხიარებული ყოფილიყო, მაგრამ... სულ ახალგაზრდამ, ორმოცი წლის ასაკში დაგვტოვა და განუხომლად დიდი ტკივილი და სევდა დაგვტოვა. ... 26 ივნისს მაიას დაბადების დღე უნდა მკინოდა. ღამაში ივნისის თვის ეს დღე, მაგრამ მის გარეშე თითქოს ნალექი და სევდა აფერ-მკრობლებს ყოველთვის...

ზიკური მომხიბვლელობა განუყოფელი კონტაქტს ქნის მსურველებთან. მაია თომაძე არა მარტო ქართული საოპერო სცენა დაიპყრო, მან თავისი ტალანტით მსოფლიოს დიდი თეატრებიც კი გააოცა, სადაც კი მას მოუწია სცენაზე გამოსვლა. 1986 წელი კი მაიასთვის განსაკუთრებული იყო — ბარსელონაში გამართულ ფრანსისკო ვინიასის სახელობის საერთაშორისო კონკურსში მან პირველი პრემია და „გრამ-პრი“ დაიმსახურა. ეს მომღერლის დიდი აღიარება იყო. საბჭოთა პრესა აღნიშნავდა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ამ დიდი ჯილდოს მფლობელი მხოლოდ ქართველი მომღერალი მაია თომაძე იყო. გადაიდა დრო. წარმატებებს წარმატებები მისდევდა. მაია უფრო და უფრო პოპულარული და ყველასთვის საყვარელი მომღერალი ხდება. 1987 წელი. სცენაზეა საქართველოს სახალხო არტისტი მაია თომაძე — მისი უსაყვარლესი ეთერი „აბესალომ და ეთერიან“. ათი წელი აშორებს პირველ პრემიერას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაია უკვე აღიარებული, დიდი მომღერალია, თორემ ეთერის იგი ისეთივე ხიბლითა და ამაღლებულად ასრულებს, როგორც

ამ ათიწლიანი წლის წინ, ახლად კონსერვატორია-დამთავრებული რომ ასრულებდა. 1988 წლიდან საქართველოში პოლიტიკური მღელვარება იწყება. დასავსებულმა კომუნისტურმა რეჟიმმა თანდათან რყევა იწყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მაია თომაძე თავიდანვე გვერდით დაუდგა. სუფთა, ხალასი, პატრიოტული სულისკვეთების მქონე, იგი ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი გახდა, რამეთუ სჯეროდა, რომ ზვიადის გზა იყო ჭეშმარიტი, მართალი, ქართული... ცნობილი მომღერალი ქალბატონი აქტიურად ერევა პოლიტიკურ საქმიანობაში. ჯერ კიდევ 1990 წლის 15 აგვისტოს საარჩევნო კანონის მიღებაში მაიამ უღიღესი წვლილი გასწია. ამ მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებამდე იგი აქტიურ მონაწილეობას მღებულობდა თითქმის ყველა აქციაში. უზუნაესი საბჭოს დეპუტატები დიდი მოწიწებით აღნიშნავდნენ, ამ საიონ, ნაზ არსებას თუ როგორი ვაჟაკური, შეუკალი ხასიათი მქონდა. იგი მთელი არსებით ასწრავოდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისთვის, მაღალიდური, ზნეობრივი სახელმწიფოს შექმნისთვის. ამიტომ თავს არ ზოგავდა. წმინდა ილია მარილის საზოგადოების



წვერი აქტიურად თანამშრომლობდა მერაბ კოსტავას სახელობის ფონდთან, სადაც სისტემატურად რიცხავდა საკუთარ პონორარებს. მაია თომაძე არჩეულ იქნა უზუნაესი საბჭოს დეპუტატად. იგი მაქორიტარი დეპუტატი გახლდათ სამგორის რაიონიდან. მაია უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის არანაკლებ ღირებულ საქმეს, ვიდრე თეატრია, ვიდრე ეს დიდი ხელოვნებაა, რომელსაც ბავშვობიდან ეზიარა... მერე იყო ის საშინელი დღეები, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ ტრაგედიად რომ აღიქმება თითოეულ ქართველში. მაია თომაძე ბოლომდე გაუტყუელი და უდრეკი დარჩა საკუთარი იდეის მიმართ. ამით უფრო მეტ პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა ხალხში, თანამებრძოლებს შორის. დაიხ, თანამებრძოლებს შორის, რადგანაც მათი ნებისმიერი მოქმედება ბრძოლის ტოლფასი გახლდათ და რაიდეენ სამწუხაროა, რომ ამ ბრძოლაში მისი ნაზი არსება ასერიგად დაიფრულა. გაა დრო და ისტორია უფრო ნათლად შეაფასებს სახელობანი ქართველი საოპერო მომღერლის ცხოვრებას, რომელმაც თავისი სიცოცხლე სამშობლოს მიმავალს, მის კეთილდღეობას ზვარაკად შესწირა... დიდება ამ მშვენიერი ქალბატონის ხსოვნას... ნათელი იყოს მისი სული სამარადგამოდ! ავადყოფობისას ერთი უცნობი თავგანისცემლისთვის ქალბატონ მაიას გამოშვიდობებისას უთქვამს „გთხოვთ ჩემთვის ილოცოთ ხოლმეო...“ მიდით, მეგობრებო, ეს სურვილი მაიას ჩვენც შევესრულებთ და ვისაც გაახსენდება 26 ივნისი, მისი დაბადების დღე, ამ დღეს მაინც მოეხსენიოთ მისი სპეტაკი სული და პატიება ვთხოვოთ მას ყველაფრისათვის... ღამეჯან მაისურაძე

(დასაწყისი წინა ნომერში) პიგვლოვანმა, დროზე იზრუნებენ და გრანტიც ვარსკვლავის დაგებით პატივს მიაგებენ ერთ დროს „პარლამენტის მართლა ნესტანად“ თავდაგულებულს, „მრავალ პარტიამოვილილა და პოლიტიკაში საქმე მოთავებულს“, „პარლამენტის“ შტატის დამკარგველს, დღეს მეცნიერებაში „გადავარდნილს, მრავალი საინტერესო და საჭირო ნიგნის“ ავტორს, მომავალი თაობის „აღმზრდელ-განმსაზღვრელ“ ნ. ძირთაძეს. მშობლიურ კომპარტიაში, ტყუას მდივანად ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ბეიკრეგენმურ

ანდროტონიანაჟუსა და სხვათა „მთაკაცს“ არნახული ერთგულებისა და მხარდაჭერისათვის. მისი სახელობის „ფონდში“ დამკვერელი გართმა მეფეებსა და კეისრებს, იმპერატორებს საშინაო თუ სამეზობლო საქმეთა მომგვარებლები მიუჩინა, უდიდესი პასუხისმგებლობით რომ

ტებმა, პრემიერ-მინისტრებმა და კანცლერებმა შეცვალეს. ცხადია, ახალი ტიპის მმართველები, წინამორბედების მსგავსად, მარტონი ვერ

ლი პიროვნებები, დღეს რომ უმნიშვნელოვანესი წილი უძველთავეთი ქვეყნების მართვა-არსებობაში უნდა ითქვას, რომ ძლიერი და ლონიერი, მაძლარი ქვეყნების წინამძღოლები ცდილობენ მინისტრთა ნაკლები რაოდენობით ყოლას, რადგან მათი უწყებების რჩენასა და შენახვას გვარიანი თანხები სჭირდება. სამაგიეროდ, რამდენიცა ჰყავთ, უნაკლო პროფესიონალები გახლავან და ანაზღაურებასაც შესაფერისს ლეზულობენ, დავალებასა და საქმესაც ბრწყინვალედ, დროულად ართმევენ თავს.

„ქარსკვლავთსუნა“

ბელა ჯიღაური


ჯისათვის, ქვადტეული ვარსკვლავის, დაგებით სათანადოდ დაფასდა „პირველი ლედის“ ამალის ერთი „სეფექალთაგანი“ ნ. გ. შარბანიძე.

ასრულებდნენ დავალებებს. საუკუნეთა განსაველობაში თვით სახელმწიფოთა განვითარება გაძლიერებასთან ერთად იხვეწებოდა მართვის სისტემატ და ფორმებიც. ბევრგან მონარქები პრეზიდენ-

წარუძღვებოდნენ საქვეყნო საქმეებს — მათ ესაჭიროებოდათ დახმარებები, ჭკვიანი მრჩეველები. ასე გაჩნდნენ მინისტრებად სახელმწიფო



—ოხ, რა მოსავალი გვაქვს! გადავრჩენილვართ, მეგობრებო! ტაში!



საქართველოს მთავრობა და სავალუტო ფონდი თივისა და ვირის ამპლუაში არიან

ალია №84

ჩვენი გადმოცემა

7

საბჭოეთად წოდებულ წითელ იმპერიაში კი „ჩამალი“ კაპიტალისტური წყობისაგან განსხვავებით, მართვის სისტემა გაცილებით „დახვეწილი და სრულყოფილი იყო“.

და გრძელდება ტრადიცია: „თავისუფალსა და დამოუკიდებელს“ საქართველოში თელა არა აქვს სამინისტროებს, ახალი ყაიდის, ეპოქის შესატყვის „მინისტრებს“, მათს ურიცხვ მოადგილეებს, აუარება „პროფესიონალ, ძირითადად უცხოეთში განსწავლულ“ თანამშრომლებს. ამიტომაც „მივიწვევთ წინ“.

დაცვა ვახსენეთ და ღვთის წყალობით დამცველებიც მრავალადა ყავთ ცეკას წინამოედანზე დამკვიდრებულ ვარსკვლავსნებს. სიმბოლურ დამცველ ჯავშან-სარტყელში უპირველესად „თავდაცვის“ უენო, გაუჩერებლად რწევა-მოქანავე, ხაზინა გაქურდული ქვეყნის ხარჯზე პირადად და „ოჯახის წევრთა მოსახმარ-საამებლად შექმნილი ძვირადღირებული ჯიშების მოყვარულის, „ფილოსოფიურად განსწავლული მინისტრ“ დ. თიშაძის ვარსკვლავს ჩააგებენ.

მეზობლად უშიშროების „მოკრძალებული, თავმდაბალი, პრეზიდენტის“ „დაცვა-

დენტისაგან კბილებით დაცულის, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაბანდურებული „გენერალური პროკურორის“ ჯ. ბაბილაშვილის სახელობისა იქნება.

ძალოვანთა „უმტკიცეს“ ჯავშან-სარტყელის ერთგვარ სინატიფეს მიანიჭებს შევარდნაძის „აღმშენებლობით“ მოღვაწეობის მხარდამჭერ-შემსრულებელთა, მონაყმების წვრილვარსკვლავებისაგან ასხმული სიმბოლური ყელსაბამი-„სამშენისი“.

„მშენიერი სამკაულის“ პირველი ვარსკვლავი „პრეზიდენტის“ მეფალყურებით კომკავშირში განვრთნილ-გამონრთობილი, საბჭოეთის დრო-

გერმანიაში განსწავლულის, „ბერლინის კედლის დამანგრეველის“ თარჯიმანყოფილის, ეროვნული ბიბლიოთეკის „ალორძინების ბოლომდე ვერ მიმყვანის“, დირექტორყოფილის, მაგრამ სანაცვლოდ სწავლა-განათლების სისტემის „განვითარება-სრულყოფის, გაფურჩქნისათვის“ გამინისტრებულ ა. კარტოზიას;

აჭარის „ლომთან დაპირისპირებული“ ფიზიკოს-„პარლამენტარყოფილის, მოულოდნელად გამინისტრებული“, პროფესიიდან გამომდინარე ხშირ-ხშირად ყველაფრის პლუს-მინუსებით დაშარისხებულ-შემფასებლის, თბილისში „უბინაოდ შეთენილის, ალბათ, ვაზისუბანში ან ვარკეთილში დაქირავებული ბინის ქირით ნელში განყვეტილის“ (სამაგიეროდ, გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ საუბარში „ხელფასზე მცხოვრები მინისტრი ამბობს: „ჩემს განკარგულებაში ორი ავტომობილი იქნება... ახლაც ჩემი ავტომობილი ჩემს მეუღლეს მოემსახურება“—სტილი დაცულია—გ.ჯ.). პარიში გზაგაკვალულ-გაჩვეულს, მეგობარ-თანამოსაქმეებისაგან დაზარალებულ-გაძარცვულ, უმოგარი, აქციის მონაწილე პირამოკერილი ადამიანების სამართლიანი მოთხოვნების ცინიკურად და დასაძრახი არაკაცურ-არაადამიანურობით უკუგდების (აი, რას წერს გაზეთ „არგოში“ მწერალი რ. მიშველაძე: „ზრდილობა მოიძიე მინისტრო ნოლაიდელო! შენ უკვე მოქალაქეთა კავშირის „ერთგული ლეკვი“ კი არა, დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრი ხარ. მაგ კაბინეტში არაერთი დაუპანდურებიათ კუდაბზიკობის და თავებდობისათვის—სტილი დაცულია—გ.ჯ.). მოულოდნელად „დავაუკაცებულისა“ და მის-ნაირვე არსებზე „განეულ-მიმტყეპავის“, ნულოვანი ვარიანტის მიღებით საქართველოს ეკონომიკის საბოლოოდ დამანგრეველისა და გამჩანაგებლის, დაუმორჩილებელი „თბილკრედიტბანკის გამცამტვერებელ-მომსპობის“, მის მფარველობაში მყოფი „ბაზისბანკის“ შებენული საქმიანობის ხელშემწყობის, იქაურობის ერთი ბატონ-პატრონთაგანის, ოცმილიონიანი სახელმწიფო კრედიტის ამ ბანკში ჩამრიცხველის და ვინ იცის ვისთვის გამანაწილებელ-მჩუქებელი ზ. ნოლაიდელის.

„ურსკულუთსუნა“

ბელა ჯიღაური

გაფრთხილებაში გამონრთობილ მ. ქუთათიელის ვარსკვლავს მიუჩინენ ადგილსამყოფელს.

ჯავშანში შემდეგ ვარსკვლავს კაბინეტ-მაგიდების ბრჭყვილა ზარ-ზანზალაკებითა და სხვარამ მოსართავეებით გაფორმებული, გაუთავებლად მომცინარი, „ენაწყლიანი და კოპნია“, „მოკრძალებული ქონების“ პატრონ შინგან საქმეთა მინისტრ ა. თარბაძის სახელობისა ჩააგებენ. ოღონდ ეგ არის, „წესრიგისა და მშვიდობის“ დამყარებლის“ ვარსკვლავი, მეზობლებისაგან განსხვავებით, დიდი ზომისა იქნება, რადგან მნათობის ქიმების აუცილებელი დანამატები გახდებიან ს. ალაიძის, მ. სალაძის, ე. ჯამბურისა, თ. მღებრიშვილის, უ. მგელაძის მომცრო ვარსკვლავები, რადგან მათი აკაცობის გარეშე შეუძლებელია „მინისტრს“ ასე წარმატებით გაერთიანა თავი პატრონის ბრძანებების აღსრულებისათვის, კანონიერების აღდგენის მომთხოვნი მომტირგეების დარბევა-დანიოკება-დაპატიმრებისათვის...

მომდევნო ქვადატყეული ვარსკვლავი „უმნიკვლოებითა და პატიოსნობით“ სახელგანთავრდნილი, მეორე ვადით „მოღვაწეობის“ მიწურულს „იმპიჩმენტდამუქრებულის“, პრეზი-

ინდელი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებაში შეგზავნილი და მალევე დათხოვნილი მინისტრის, სისხლით მოსულთა „მთავრობაში“ მედიცინამიტოვებულისა და „დიდ“ პოლიტიკაში გადაშვებული“ უძალო, უსუსური საგარეო საქმეთა „მინისტრ“ ი. მენაშარიშვილის სახელმინიჭებული იქნება.

მერე „მთავრობის“ სხვა დანარჩენი წევრების სახელობითი ვარსკვლავებით აისხმება იგი მძივი. კუთვნილ ადგილებს დაიკავებენ:

ჩვენი ფლორა-ფაუნის „საიმედო და უერ-თგულესი დამცველის“, ეკოლოგიის გაჩანაგებაზე „ფარად აღმართულის“, ადამიანების ჯანმრთელობისათვის უკიდურესად საშიში ბენზინის წარმოების ხელშემწყობისა და ამით ხელის საკმაოდ მომთობი მინისტრის ნ. ჩხიბაძის;

საზღვაო ფლოტის დანგრევა-ჩალის ფასად გაყიდვა-გახსივების, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტში დატრიალებული შავნული გარიგებების მიმჩუმათებისა და ფოსტაკავშირგაბმულობის საქმეთა შემთავსებელი მ. ალდიშვილი;

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ ფუტყარაძე

რედაქტორთა საბჭო: ეკა დადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები), ონისე ბანძელაძე (ლტერატურა), მანანა ტაბიძე (დისკუსია), ილია ჭრულაშვილი (შატერობა), ლელა ხაჭაბურიძე (საზოგადოება).

რედაქციის მისამართი: ქუთათი, ქუარაქის 32 (8 231) 2-16-03, (8 77) 47-69-05 ელ. ფოსტა: kujji@posta.ge გაზეთის ელ. მისობა ინტერნეტში: http://www.opentext.ge/kuji

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთათის სახალაპო სასაგარეოლო უო №12/5/3-4818